საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საშაბათი

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲘ 11

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ

The KAVKASIONI

© ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ . № 101 (395)

ᲤᲐᲡᲘ 40 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲤᲔᲠᲘ — ᲤᲔᲠᲡᲐ, ᲛᲐᲓᲚᲘ — ᲦᲛᲔᲠᲗᲡᲐ

ბოლო კვირის მანძილზე აფხაზეთში მცხოვრები 732 ადამიანი კომუნისტურ პარტიაში შევიდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური. ამავე ინფორმაციაში მითქვამია, რომ აფხაზეთში ფართო გაქანება მიიღო რუსეთის კომპარტიის ლიდერის გენადი ზიუგანოვის საგზაო კამპანიამ. ქალაქებსა და სოფლებში ხალხმრავალი მიტინგები ეწყობა. რუსეთის კომუნისტური პარტიის „პრავდის“ ცნობით, ზიუგანოვს მხარს უჭერს აფხაზეთის მოსახლეობის 30 პროცენტი.

BGI

ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲢᲝᲕᲔᲑᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ

როგორც იბერიას კორესპონდენტისთვის საინფორმაციო წყაროდან გახდა ცნობილი, უკანასკნელ ხანს, აფხაზეთის ტერიტორიიდან შეიმჩნევა სომეხი ეროვნების მოსახლეობის მასიური გადინება, როგორც ავტოტრანსპორტით, ასევე გემებით. აფხაზეთს, ძირითადად, ტოვებენ სომეხი ეროვნების ის ოჯახები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ. სარწმუნო წყაროს იტყობინება, რომ სომეხი ეროვნების მოსახლეობის ასეთი როგორი გადინება დაკავშირებულია ახლო მომავალში მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებთან, როგორც რუსეთში, ისე აფხაზეთში.

ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

იბერიას კორესპონდენს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, რომ დახურულ კარს მიღმა ჩატარდა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარება. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები კოდორის ხეობის ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სხდომაზე, აგრეთვე, განიხილეს რუსეთისთვის საქართველოს კუთვნილი სამხედრო კვოტების გადაცემის საკითხი, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება ამის თაობაზე ჯერ არ არის მიღებული.

ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

უკანასკნელ პერიოდში გამწვავდა კრიმინოგენული ვითარება გალის რაიონის ტერიტორიაზე. ამ დღეებში 4 შეიარაღებული აფხაზი ბოეკიკი თავს დაესხა სოფელ პირველ გალში (შეზღუდული შეიარაღების ზონა) მცხოვრებ კაკო ზაქარაიას ოჯახს, უმოწყალოდ სცემეს ოჯახის წევრები და გაძარცვეს ისინი.

9 ივნისს, საღამოს საათებში, სოფელ პირველი გალის ტერიტორიაზე, აფხაზთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ოუზა ციკორიას, რომელსაც მძიმე ჭრილობები მიაყენეს სხეულის სხვადასხვა არეში. იმ მიზეზით, რომ გალის ტერიტორიაზე მოქმედებს კომენდანტის საათი, იციკორია დილამდე ვერ იქნა გადაყვანილი ქ.ზუგდიდის საავადმყოფოში, დილით კი მას ჩუტარდა ურთულესი ოპერაცია.

ამ დღეებში, გალის რაიონის სოფელ სობერიოში, აფხაზმა სეპარატ სტებმა შეიყვანეს ე.წ. აფხაზური პოლიციის 15 თანამშრომელი, რომლებიც ძარცვავენ ადგილობრივ მოსახლეობას. ასევე, ქჯალში შეიყვანილია დამატებითი ჯგუფები რამდენიმე ათეული კაცის შემადგენლობით.

იბერია

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ

«ᲒᲕᲚᲐᲜᲫᲚᲔᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲖᲝᲒᲝᲗ, ᲔᲒᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲕᲤᲮᲘᲖᲚᲓᲔᲗ!»

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲑᲭᲝᲑᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ

საქართველოს პარლამენტმა 17 აპრილს მიიღო დადგენილება — „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის თანახმადაც, თუკი საქართველოს მხარის წინადადებათა გათვალისწინებით არ შეიცვლებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის პირობები და სამშვიდობო ძალები ვერ უზრუნველყოფდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებას, სამშვიდობო მისია უნდა მიჩნეულიყო უპერსპექტივოდ და სამშვიდობო ძალებს ორი თვის ვადაში — 17 ივნისისთვის უნდა დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ—2 ᲒᲒ.

ᲘᲡᲔᲕ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

«ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲐ» ᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

გუშინ თურქეთის საელჩოში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. თურქეთის ელჩმა უფუქ ოქიაუზმა განაცხადა, რომ ფირმები „მარსი“ და „ჩაღლარი“, რომლებიც ამ უნივერსიტეტს აშენებენ, საქარველოსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებენ და ამიტომ გადაწყვეტა ელჩმა მათი დაცვა. ეს ფირმები თურქეთშიც განათლების სფეროში მოღვაწეობენ და აქაც იმავე საქმიანობას ეწევიან, — თქვა მან, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ საუნივერსიტეტო სფეროში მათ ნაკლები გამოცდილება აქვთ და ბაზალეთის უნივერსიტეტი მათ მიერ დაარსებული პირველი უნივერსიტეტია.

„ეს ძალიან მომგებიანი კაპიტალდაბანდებაა“, — თქვა ელჩმა, უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარემ მეზუთ ბოსქირმა კი განაცხადა, რომ მოგებას უკვე 10-12 წლის შემდეგ ელოდებიან. მეორე მხრივ, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სერიოზული უნივერსიტეტი არათუ მოგებას არ იძლევა, პირიქით, ყოველწლიურად მნიშვნელოვან ინვესტირებას საჭიროებს.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ—2 ᲨᲒ.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲰᲔᲠᲪᲝ�გᲘ

ᲐᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲔᲜ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ

გერმანიის დიპლომატიური წრეები ამ ვიზიტს აღიქვამენ, როგორც გერმანიის მთავრობის კომპლიმენტს, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მიმართ. საქართველოს სწრაფ და მნიშვნელოვან წინსვლას გერმანიის მთავრობა დადებითად აფასებს.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲰᲔᲠᲪᲝ�გᲘ

ᲓᲐᲑᲐᲓᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 5 Ა�პᲠᲘᲚᲘ ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲣᲢᲨᲘ; ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲢᲐᲢᲘ; ᲓᲐᲥᲠᲬᲜᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ; ᲰᲧᲐᲕᲡ ᲝᲠᲘ ᲕᲐᲟᲘ.

1957 — ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲨᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲘᲣᲠᲘᲡᲞᲠᲣᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ.
1958 — ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲨᲘ.
1958-1964 — ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ.
1961 — ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲘᲣᲠᲘᲡᲞᲠᲣᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ.
1964-1966 — ᲞᲠᲘᲕᲐᲢ-ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ.
1966-1969 — ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.
1969-1973 — Ქ.ᲨᲢᲐᲘᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ;
1971-1972 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.
1971-1980 — ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲕᲐᲜ�გᲔᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲢᲐᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.
1972 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲕᲐᲜ�გᲔᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ.
1973-1978 — ᲠᲐᲘᲜᲚᲐᲜᲓ-ᲞᲤᲐᲚᲪᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ.
1978-1980 — ᲑᲐᲓᲔᲜ-ᲕᲘᲠᲢᲔᲛᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.
1978-1983 — ᲥᲓᲞ/ᲥᲡᲙ-ᲘᲡ ᲔᲕᲐᲜ�გᲔᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲗᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.
1980-1983 — ᲑᲐᲓᲔᲜ-ᲕᲘᲣᲠᲢᲔᲛᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲢᲐᲒᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.
1983-1987 — ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲕᲘᲪᲔᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.
1987-1994 — ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.
1994 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ 2 ᲒᲒ.

ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘ

ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲨᲘ ᲝᲛᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ?

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ნოვოსიბირსკში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა: „ჩეჩნეთში ომი უკვე დამთავრდა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებისთვის“. თუმცა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ძნელია დამთანხმო პრეზიდენტისგან შეფასებას.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ—2 ᲒᲒ

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ — ᲓᲐᲕᲐᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ

10 ივნისს მთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლოში მოსამართლე ვახტანგ თალაკვაძეს უნდა განეხილა რუსთაველის საზოგადოების საქმე, რომლის შესახებაც საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული. დავის მთავარი მიზეზი კი გახლავთ სარჩელი, რომელიც მოულოდნელად მოგვყავს:

ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ გიგლა ვეკუაას

მოსარჩლე; სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება

მოპასუხე: რუსთაველის საზოგადოების ყოფილ[illegible] პრეზიდენტი [illegible]

[illegible] ᲛᲔ—2 ᲒᲒ.

ᲞᲠᲔᲡᲢᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები და პოლიტიკური ექსპერტები ბევრს მსჯელობენ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ.

მთავარი თემა ამ მსჯელობისა არის რუსეთის რეაქცია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის განზრახვათა მიმართ. სავსებით ნათელია, რომ რუსეთი შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევს ნატოს მიერ აღმოსავლეთით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და შესაძლებლობის ფარგლებში შეეცდება საპასუხო ღონისძიებებით (გავლენათა სფეროს გაფართოება და სამხედრო კავშირის შექმნა პოსტსაბჭოური სივრცის ფარგლებში, იარაღით ვაჭრობა აღმოსავლეთის ,,ბოროტ ძალებთან“ და ა. შ.) [illegible] ... ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების დაშოშმინების მსოფლიო პრაქტიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ. ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲠ ᲒᲝᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲓᲐᲪᲘᲠᲘᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲡᲣᲠᲗ. ᲐᲜ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲐᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, „ᲛᲔᲓᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲘᲡᲐᲜ“ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐᲜ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ—2 ᲨᲒ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲕᲚᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები და პოლიტიკური ექსპერტები ბევრს მსჯელობენ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ.

მთავარი თემა ამ მსჯელობისა არის რუსეთის რეაქცია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის განზრახვათა მიმართ. სავსებით ნათელია, რომ რუსეთი შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევს ნატოს მიერ აღმოსავლეთით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და შესაძლებლობის ფარგლებში შეეცდება საპასუხო ღონისძიებებით (გავლენათა სფეროს გაფართოება და სამხედრო კავშირის შექმნა პოსტსაბჭოური სივრცის ფარგლებში, იარაღით ვაჭრობა აღმოსავლეთის ,,ბოროტ ძალებთან“ და ა. შ.) [illegible] ... ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების დაშოშმინების მსოფლიო პრაქტიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ. ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲠ ᲒᲝᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲓᲐᲪᲘᲠᲘᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲡᲣᲠᲗ. ᲐᲜ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲐᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, „ᲛᲔᲓᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲘᲡᲐᲜ“ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐᲜ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ—2 ᲨᲒ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲕᲚᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები და პოლიტიკური ექსპერტები ბევრს მსჯელობენ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ.

მთავარი თემა ამ მსჯელობისა არის რუსეთის რეაქცია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის განზრახვათა მიმართ. სავსებით ნათელია, რომ რუსეთი შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევს ნატოს მიერ აღმოსავლეთით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და, შესაძლებლობის ფარგლებში შეეცდება საპასუხო ღონისძიებებით (გავლენათა სფეროს გაფართოება და სამხედრო კავშირის შექმნა პოსტსაბჭოური სივრცის ფარგლებში, იარაღით ვაჭრობა აღმოსავლეთის ,,ბოროტ ძალებთან“ და ა. შ.) [illegible] ... ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების დაშოშმინების მსოფლიო პრაქტიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ. ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲠ ᲒᲝᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲓᲐᲪᲘᲠᲘᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲡᲣᲠᲗ. ᲐᲜ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲐᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, „ᲛᲔᲓᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲘᲡᲐᲜ“ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐᲜ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ.

ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲔ—2 ᲨᲒ.

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲔᲙᲠᲫᲐᲚᲐᲗ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲐ

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, შსს-ს მინისტრის კ.თარგამაძის ბრძანებულების თანახმად, პოლიციის ყველა ქვედანაყოფს, მათ შორის — საგზაო პოლიციის თანამშრომლებს, აეკრძალათ საავტომობილო ტრანსპორტზე კვების პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანების გაჩერება და შემოწმება. ბრძანებულების [illegible] გახდა აღნიშნული უწყების თანამშრომლების მიერ, ფულის გამოძალვის მიზნით, ავტომანქანების გაჩერების არაერთი ფაქტი.

იფრინდა

ᲛᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის მითითებით, სამინისტროში იქმნება დანაშაულის პროგნოზირების სამსახური. აღნიშნული სამსახური იმუშავებს საქართველოში სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით, მაგალითად, პურზე, ბენზინზე და სხვა საქონელზე ფასების გაზრდასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ორგანიზებული დანაშაულის პროგნოზებზე. დამუშავებულ პროგნოზებს აღნიშნული სამსახური წარუდგენს როგორც საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, ისე საქართველოს პარლამენტს.

იბერია

ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲔᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ

„ᲩᲕᲔᲜ ᲣᲐᲠᲘᲡᲮᲐᲠ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲜᲘᲡᲕᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“, — ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲡᲘᲡᲘ I ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲒᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡᲘᲡ 366 ᲞᲐᲢᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲡᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ, ᲣᲖᲔᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲓ. ᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝ

კავკასიონი

სამშაბათი, 11 ივნისი, 1996

პოლიტიკა / ინფორმაცია

№101 (395)

ვიზიტი

საქართველოს სტუმარია გერმანიის პრეზიდენტი რომან ჰერცოგი

პირველი გვერდიდან

საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან, რომელთა შორისაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას წამყვანი ადგილი უკავია. ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 1992 წლიდან. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აქ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პირველი ოფიციალური ვიზიტი შედგა. მაშინ საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი ჩამოვიდა.

მას შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ვითარდება საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის სფეროში. ხელმოწერილ იქნა ორმხრივი ურთიერთობის მომაწესრიგებელი სხვადასხვა ხელშეკრულება.

საქართველოში გერმანიის პრეზიდენტის ივნისის ვიზიტმა ხელი უნდა შეუწყოს ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. გერმანიის მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენერგოსექტორის განვითარებას ანიჭებს. ამიტომაც ვიზიტის დროს დაგეგმილია, ხელი მოწერილ ხელშეკრულებას ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. საქმე ეხება 60 მილიონ გერმანულ მარკას, რომლის ნაწილიც გარდაბნის თბოელექტროსადგურის რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს, ნაწილი კი — ენერგოგადამცემების სისტემის შეკეთებას.

რაც შეეხება ურთიერთობებს კულტურის სფეროში, ეს ქართულ-გერმანული მეგობრობის ყველაზე მომხიბლავი მხარეა. ხელოვნებას ორივე ქვეყანაში შეუძლია საუკეთესოდ შეასრულოს ელჩის როლი და გაზარდოს სახელმწიფოთა დაინტერესება ერთმანეთით.

კონტაქტები ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ სფეროშიც ურთიერთნდობაზე და თანამშრომლობაზეა დამყარებული. არჩევნების შემდეგ საქართველოს და გერმანიის პარლამენტები აქტიურად თანამშრომლობენ.

გერმანია დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების სწრაფი მოწესრიგებით. როგორც გერმანიის დიპლომატიურმა წრეებმა აღნიშნეს, გერმანიის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

საფრანგეთისა და აშშ-სგან განსხვავებით, გერმანიაში ფედერაციის პრეზიდენტი ნაკლებად განაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მას მხოლოდ ცერემონიული ფუნქცია აქვს. იგი ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებიც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც განსაზღვრავენ პოლიტიკას, ამიტომაც ჰერცოგმა გამოთქვა სურვილი, შეხვდეს საქართველოში პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, პარლამენტში ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეებს. სახელმწიფოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ორი შეხვედრის შემდეგ ჰერცოგი შეხვდება პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, აგრეთვე, ინტელიგენციის წარმომადგენლებს და ახალგაზრდობას.

ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. გერმანიის მხარე მიიჩნევს, რომ ვიზიტი დადებით გავლენას იქონიებს ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობაზეც.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა საკმაოდ დიდი დრო — სამი დღე — დაუთმო საქართველოში ვიზიტს, რადგან დიდი სურვილი აქვს, საქართველოს საზოგადოების, რაც შეიძლება, ფართო წრეს შეხვდეს.

გერმანიისა და ევროპის პოლიტიკა საქართველოს ამიერკავკასიის ქვეყნებში განსაკუთრებულ როლს აკისრებს. თუ მოხერხდება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება საქართველოს ტერიტორიაზე, ეს უთუოდ დადებით გავლენას იქონიებს მეზობელ სახელმწიფოებზე. ხოლო ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა.

გერმანიის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში 13 ივნისამდე გასტანს.

მოამზადა

სოფო საყვარელიძემ

«გვლანძღეთ, არ დაგვზოგოთ, ეგეც გამოვფხიზლდეთ!»

პარლამენტი ბჭობს, რუსეთი იცინის

პირველი გვერდიდან

ვინაიდან, რუსეთი ამჯერად საპრეზიდენტო არჩევნების საპრიზადისშია და ნაკლებად „სცხელა“ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის, დათქმული ორი თვის განმავლობაში, აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად წინ ნაბიჯიც არ გადადგმულა, რომ აღარაფერი ვთქვათ, რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ახალი პირობების შემუშავებასა და შეცვლაზე. სამაგიეროდ, მთელი ამ ხნის მანძილზე უხვად ვაგროვებთ დაპირებებს. თურმე, პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის შემთხვევაში, ელცინი და მთელი რუსეთი კიდევ უფრო გააააქტიურებენ მოქმედებებს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. ურწმუნო თომასს სენით შეპყრობილთ, ძნელად თუ დაგვაჯერებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი თავის გულწრფელობაში. არაერთგზის გაწბილებულთ, ალბათ, აფხაზეთის კონფლიქტში აღარც რუსეთის შესიანური როლის უნდა გვჯამდეს.

და მაინც, ვიდრე რუსეთი წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაშია, რუსეთის და საქართველოს თავკაცები პარლამენტის 17 აპრილის დადგენილების „ინტერპრეტაციას აკეთებენ“ და რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის განსაზღვრულ დროს ერთი თვის ვადით აგრძელებენ. ამ ფაქტს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „აფხაზეთის“ წარმომადგენელი გეორგე ფაცაცია ანტიკონსტიტუციურ ქმედებად მიიჩნევს და მოითხოვს, მეოთხე ხელისუფლებამ ხმა აღიმაღლოს ამგვარი ქმედების წინააღმდეგ. მისი თქმით, პარლამენტი კი იღებს გადაწყვეტილებებს და დადგენილებებს, მაგრამ არად დაგიდვენ მისივე მიღებული დადგენილების დარღვევას. სხვათა შორის, გერმანე ფაცაცია პარლამენტთან ერთად მეოთხე ხელისუფლებასაც საყვედურობს, რომელმაც სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას — სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების თაობაზე „ყური წაუჭრა“ და ამ ფაქტის ირგვლივ არ ატეხა აჟიოტაჟი. ამიტომაც, ბატონი გერმანე უაცაცია გვირჩევს მახმედიას, რაც შეიძლება, დაუზოგავად ვლანძღოთ პარლამენტი, რათა გამოფხიზლდეს. თავად პარლამენტარი კი, საკუთარ თავს უფუნქციოდ მიიჩნევს პარლამენტში და მისი თქმით, თუ საკანონმდებლო ხელისუფლებამ ასე დაუდევრად გააგრძელა მუშაობა, იგი იძულებული გახდება, უარი განაცხადოს დეპუტატის მანდატზე და საკუთარ ცოლშვილს მიხედოს.

ზემოხსენებულმა დადგენილებამ „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ თავდაპირველად, თითქოს, იმედი ჩაუსახა აფხაზეთის დევნილ მოსახლეობას, რამეთუ, პარლამენტის მიერ მიღებული ამ დადგენილების შემდეგ, ხალხი ხელისუფლების მხრიდან რადიკალურ ნაბიჯებს ელოდა, მაგრამ... ჩანს, პარლამენტს არ შესწევს უნარი გააკონტროლოს და შესაბამისი მსჯელობა მისცეს მისივე კანონსა თუ დადგენილებას. ამ უმოქმედობით, ამგვარი ნიჰილიზმით კი, მოსახლეობაში თანდათან უნდობლობის სინდრომი მკვიდრდება. მთავარი კი მაინც ისაა, რომ რწმენადაკარგული ხალხი მომავალში, ძნელად თუ გაჰყვება მაცდურ უზენაეს ხელისუფლებას.

დაბოლოს, მეოთხე ხელისუფლება პარლამენტის ლანძღვას, ცხადია, არ იკადრებს, ხოლო რაც შეეხება არდასოგას — მის მიმართ არაერთგზის გამოგკითქვამს კრიტიკული შენიშვნები და მომაკალშიც არ მოვერიდებით პირში ძრახვას, მეტი პრესას არაფერი შეუძლია.

დიანა გაბროშვილი

ეროკლედ

ისევ პურის ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით

9 ივნისს, მოსალოდნელი პურის ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „პურის ფასის გაზრდასთან ერთად მოქალაქეთა საოჯახო ბიუჯეტი არ დაზარალდება“. მისი თქმით, პურის ფასების ლიბერალიზაცია ვინმეს კაპრიზი კი არაა, არამედ შექმნილი სიტუაციის შედეგია და პრეზიდენტის სპეციალური განკარგულების თანახმად, შექმნილი კომისიის მიერ უკვე შესაბამისი სამუშაოებია ჩატარებული. სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ კომპენსაციათა გაცემა 15 ივნისამდე უნდა დასრულდეს.

შუა აზიის ქვეყნების ხელმძღვანელები საქართველოსკენ „დაიძრნენ“

უზბეკეთი მომზრეა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებისა, — განაცხადა ამ რეგიონთან ერთად ალ ბელ ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო საქმეთა ... ...

ევრო — 96

1:1 – ჯერჯერობით ყველაზე პოპულარული ანგარიში

EURO 96 England

გასულ შაბათს ინგლისში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის X ჩემპიონატი ფეხბურთში. უქმეებზე ოთხივე ჯგუფში თითო-თითო თამაში გაიმართა. ჭერჭერობით, რა თქმა უნდა, ძნელია შორსმიმავალი პროგნოზების გაკეთება, მაგრამ გარკვეული დასკვნების გამოტანა უკვე პირველი მატჩების შემდეგ შეიძლება.

„A“ ჯგუფში ჩემპიონატის მასპინძელმა და ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა — ინგლისის ნაკრებმა მოულოდნელად წაიბორძიკა შვეიცარიელებთან შეხვედრაში. პირველ ტაიმში მასპინძლები საკმაოდ აკადემიურად თამაშობდნენ და პოლ გაზაინისა და სტივ მაკმანამნის წყალობით თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ სიტუაციას. შუა ტაიმში პრემიერ-ლიგის უპირველესმა ბომბარდირმა ალან შირერმა ისარგებლა შვეიცარიელი მცველების შეუფანხმებელი მოქმედებით, დროულად გაიხსნა და პოლ ინსის ზუსტი პასის შემდეგ ანგარიში გახსნა. იმავე შირერს, შემდეგ კი ტედ შერინგჰემსაც შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში მასპინძელთა ფორვარდები აშკარად სცოდავდნენ. თავის მხრივ, ტაიმის ბოლოს, შვეიცარიელებმა ვერ გამოიყენეს ასპროცენტიანი საგოლე მომენტი. მეორე ნახევარში ინგლისელებმა მოულოდნელად მოუკლეს ტემპს. ამას დაემატა სრულიად გაუმართლებელი ცვლილებები, რაც ტერი ვენერბლსმა განაზორციელა — მოედანი დატოვეს ინგლისელთა საუკეთესო ფეხბურთელებმა — მაკმანამნამ და გეზკოინმა, არადა, თუ ვინმე იმსახურებდა მასპინძელთა შორის გამოცვლას, ეს, პირველ რიგში, დარენ ანდერტონი იყო, რომელსაც, თუ მატჩის დასაწყისში კარში დარტყმულს არ ჩავთვლით, საერთოდ არაფერი გაუკეთებია. ასე იყო თუ ისე, მეორე ტაიმში მოედანზე შვეიცარიელები დომინირებდნენ და მატჩის მიწურულს მათმა ყველაზე აქტიურმა ფეხბურთელმა, თურქული წარმოშობის კუბილაი თურქილმაზმა პენალტით ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა.

ასეთივე ანგარიშით — 1:1 დასრულდა მატჩი „B“ ჯგუფში ესპანელებსა და ბულგარელებს შორის. გუნდებმა მთელი გული ჩაკმეხვეს თამაშში, მთელი შეხვედრის მანძილზე ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული, რასაც წითელ-ყვითელი ბარათების სიმრავლეც ადასტურებს. დასაწყისში, თითქოს ესპანელთა უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ სტოიჩკოვმა და მისმა თანაგუნდელებმა მალე გამოასწორეს მდგომარეობა და სახიფათო მომენტების სიმრავლით აჯობეს კიდეც მეტოქეს. სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, სტოიჩკოვმა საკმაოდ ეფექტური გოლი გაიტანა, მაგრამ იტალიელმა არბიტრმა არასებული ოფსაიდი მოიგონა და ბურთი არ ჩათვალა. ხრისტომ მაინც შეძლო გოლის გატანა — სერხინ კოსტადინოვი წაეკცა და ბულგარელთა ლიდერმაც ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი. სერხინ მალე გამოისყიდა დანაშაული — მარცხენა ფლანგიდან მის მიერ ჩაწოდებული ბურთი შეცვლაზე გამოსულ ალფონსო პერესს მოხვდა და მიხალოვის კარში აღმოჩნდა. ამის შემდეგ გუნდები 10-10-ნი დარჩნენ მოედანზე და მეტი საინტერესო აღარაფერი მომხდარა.

„C“ ჯგუფში ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა — გერმანიის ნაკრებმა საკმაოდ იოლად სძლია ჩეხებს — 2:0. აბსოლუტურად ერთმანეთის მსგავსი გოლები პირველივე ტაიმში გაიტანეს კრისტიან ციგერმ და ანდრეას მოილერმა. გერმანელებს ამ შეხვედრაში აკლდათ კლინსმანი, რომელმაც შესარჩევ ეტაპზე მიღებული გაფრთხილებების გამო არ ითამაშა. აღსანიშნავია, რომ უკვე შეხვედრის დებიუტშივე მძიმე ტრავმა მიიღო გერმანელთა გამოცდილმა მცველმა იურგენ კოლერმა. ყვითელი ბარათები ამ მატჩშიც ბევრი იყო — სულ ათი, აქედან ექვსი გერმანელებმა დაიმსახურეს. სხვა მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, ბერტი ფოგოსის გუნდს პრობლემები არ ჰქონია — გერმანელებმა ძალების დაუზოგავად მიიყვანეს თამაში გამარჯვებამდე, რაც შეეხება ჩეხებს, მათგან მხოლოდ გერმანიის თასის მფლობელის, „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელის — პაველ კუკას კარგი თამაში იმსახურებს აღნიშვნას.

შაბათ-კვირას გამართული მატჩებიდან ყველაზე ლამაზი და საინტერესო გამოდგა თამაში „D“ ჯგუფში დანიისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის. პორტუგალიელებმა, რომელთა ძირითად ბირთვს 1991 წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულები შეადგენდნენ, თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, ძლებმა ლაუდრუპებმა და მათმა თანაგუნდელებმა გამოჭვევა მიიღეს და მთელი 90 წუთის მანძილზე უშედეგოთო ბრძოლა გაჩაღდა. პირველ ტაიმში პორტუგალიელები უფრო დიდი სიჩქარის წყალობით უკეთესად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გოლი მათ კარში გავიდა — ვიტორ აიაის მოგერიებული ბურთი ბეკს მოხვდა თავში და ბრაიან ლაუდრუპს მიუგორდა — უმცროსმა ლაუდრუპმაც ოსტატურად ჩამოიშორა ორი მეტოქე და ზუსტი და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში სამხრეთელებმა ისედაც გიჟური ტემპი კიდევ უფრო გაზარდეს და მალე, მარცხენა ფლანგზე ფოლიას გარღვევისა და ჩამოწოდების შემდეგ, სამანტამ ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში პორტუგალიელებს თითქოს დაღლა დაეტყოთ და სახიფათო მომენტები, უფრო ხშირად, სწორედ მათ კართან იქმნებოდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა — საწყის ოთხ შეხვედრაში მესამედ დაფიქსირდა ფრე — 1:1.

ბიორბი ბერიკაშვილი

პენალტი, რომელიც არ დაინიშნა

გუშინ ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. თავდაპირველად ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ჰოლანდიისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდები. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰოლანდიელთა უპირატესობით დაიწყო. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს შოტლანდიელთა კართან, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმების დროს ჰოლანდიელებს სიზუსტე აკლდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში თერთმეტმეტრიანის დანიშვნაც კი შეიძლებოდა, როცა ბერხკამპმა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კარისკენ გაგზავნა, შოტლანდიელთა მცველმა კი იგი ხელით მოიგერია, მაგრამ არბიტრმა ამ ეპიზოდზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა.

ამის შემდეგ მატჩის ტემპი დაეცა, ბურთი, ძირითადად, მოედნის შუაგულში ტრიალებდა. ჭერჭერობით, ევროპის ჩემპიონატზე შემტევი თამაში მხოლოდ გერმანელებმა აჩვენეს. სპეციალისტები ჰოლანდიელებისგანაც იგივეს ელოდნენ, მაგრამ „მფრინავებმა“ ისევე, როგორც შოტლანდიელებმა, პირველი შეხვედრა არწაგებაზე ითამაშეს და მატჩიც ფრედ, 0:0 დასრულდა. ვნახოთ, რომელი გუნდი აუბამს მხარს გერმანელებს და აჩვენებს შემტევ ფეხბურთს.

* * *

დღის მეორე შეხვედრაში ერთმანეთს საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ. მატჩი ფრანგების შეტევებით დაიწყო. მათ მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს, რითაც აშკარად დაბნიეს რუმინელები, რასაც შეხვედრის ოცდამეხუთე წუთზე გასული გოლიც ადასტურებს, რომელიც ზიდანის გრძელი გადაცემის შემდეგ თავური დარტყმით დიუგარინმ გაიტანა. აშკარა იყო ამ ეპიზოდში მეკარე ბოგდან სტელიას შეცდომა, რომელმაც „უდროოდ დატოვა თავისი სადარაჯო და ვერც ზიდანის ჩაკიდული ბურთი მოხსნა. ასე გაიხსნა ანგარიში ამ შეხვედრაში. ფრანგები არც პირველი გოლის შემდეგ დაწყნარებულან და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სახიფათოდ უტევდნენ რუმინელთა კარს. ამის შემეურე, შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ საფრანგეთის ნაკრები კიდევ ერთი გუნდი იქნებოდა, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა, მაგრამ თითქმის მთელი მეორე ტაიმი მათ დაცვაში გაატარეს. ეს, პირველ რიგში, მათი მწვრთნელის ემე ჯაკეს „დამსახურებაა“, რომელმაც მეორე ნახევარში მოედნიდან გაიყვანა ზიდანი და დიუგარი, სწორედ ის ფეხბურთელები, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ საფრანგეთის ნაკრებში. რუმინელები ყველაფერს აკეთებდნენ ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ მათ დარტყმებს აშკარად აკლდა სიზუსტე. საბოლოოდ, ფრანგებმა გაიმარჯვეს, 1:0, რითაც ევროპის ჩემპიონატზე მეორე მოგება დაფიქსირდა.

გოგა კვიციანი

კრიზატიზაცია

პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

ყურადღება!

რესპუბლიკური საბარათო სააუქციონო ცენტრი მოგმართავთ თხოვნით, მიაქციოთ ყურადღება საპრივატიზაციო ბარათების განაცხადთა მიმღები პუნქტების სიას, რომლებიც განლაგებულია ქ. თბილისის ყველა რაიონში. იმის გამო, რომ 45-ე სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონზე მოსალოდნელია დიდი რაოდენობით საპრივატიზაციო ბარათების შემოსვლა, გთხოვთ, ყველა მოქალაქემ მიაკითხოთ განაცხადების მიმღებ პუნქტებს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, რაც გამორიცხავს რიგებს და თქვენ ამით დაზოგავთ დროს. კიდევ ერთხელ ვაქცევთ ყურადღებას ქ. თბილისის ათივე რაიონში განლაგებული საპრივატიზაციო ბარათების განაცხადთა მიმღები პუნქტების მისამართებს.

რიგითი №	მიმღები პუნქტის დასახელება	მიმღები პუნქტის №	მ ი ს ა მ ა რ თ ი
1	2	3	4
1	თბილისის ვაკის რ-ნის მიმღები პუნქტი	01	ჭავჭავაძის 60 ტელ: 227401
2	თბილისის გლდანის რ-ნის მიმღები პუნქტი	02	გლდანის მასივი მე-3 მიკრო-რნ ტელ: 679535, 679323
3	თბილისის დიდუბის რ-ნის მიმღები პუნქტი	03	წერეთლის გამზირი 140
4	თბილისის ისნის რ-ნის მიმღები პუნქტი	04	ქეთევან წამებულის 90
5	თბილისის კრწანისის რ-ნის მიმღები პუნქტი	05	პუშკინის 5
6	თბილისის ნაძალადევის რ-ნის მიმღები პუნქტი	06	ჩარგალის 62
7	თბილისის სამგორის რ-ნის მიმღები პუნქტი	07	ახვლედიანის 22 ტელ: 738863, 38514
8	თბილისის საბურთალოს რ-ნის მიმღები პუნქტი	08	ბულაჩაურის 1
9	თბილისის ჩუღურეთის რ-ნის მიმღები პუნქტი	09	ახალციხის 2 ტელ: 954429
10	თბილისის მთაწმინდის რ-ნის მიმღები	10	ზაზიშვილი 35

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება

თბილისი 10 ივნისი 1996 წ.

1996 წლის 30 ივნისს საპრივატიზაციო ბარათების მიქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით და №44, №45 სპეციალიზებულ საბარათო აუქციონების ნორმალურად ჩატარების უზრუნველსაყოფად, ვბრძანებ

ა) №44 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგების დასამტკიცებლად წარმოდგენა, არაუგვიანეს 1996 წლის 25 ივნისისა.

ბ) №29 საბარათო აუქციონში დამარცხებულ მონაწილეზე საპრივატიზაციო ბარათების დაუყოვნებლივ დაბრუნება დადგენილი წესის შესაბამისად.

გ) №45 სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონზე არ იქნეს მიღებული მე-2 ტიპის (პირობიანი) განაცხადები.

დ) №45 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონზე გამოტანილ რომელიმე საწარმოზე, აუქციონის ჩაშლის (აუქციონზე გამოტანილ აქციათა პაკეტში, აქციათა რაოდენობაზე მეტი საპრივატიზაციო ბარათების შემოსვლის გამო) შემთხვევაში, ხელახლა აქციების დაყოფა, სამინისტროს მიერ შემუშავებული წესით.

მინისტრი ა.სილაბაძე

ინფორმაცია №14 საბარათო აუქციონის შესახებ

№14 საბარათო აუქციონზე, რომელიც ჩატარდა **1996** წლის **26** აპრილს ქ. რუსთავში, გამოტანილი იყო **12** საწარმოს აქციათა პაკეტი. აუქციონზე შემოსული იყო **1** განაცხადი შემდეგ საკაცო საზოგადოებაზე:

— ს/ს „ბიზნეს ცენტრი-სასტუმრო „რუსთავი“ — საწყისი ფასი **7331** საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი;

განმცხადებელი, მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

ბანკში ბეს სახით ჩაბარებულია **734** ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

სულ აუქციონის შედეგების თანახმად, საგადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს **7331** ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

საააუქციონო ცენტრი

ინფორმაცია №15 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის **3** მაისს ჩატარდა **№15 საბარათო** აუქციონზე რომელზეც გამოტანილი იყო **31** საწარმოს აქციათა პაკეტები. აუქციონზე შემოსული იყო **3** განაცხადი, შემდეგ საკაცო საზოგადოებებზე:

1. ს/ „ ჭეთ. უნივ. სახით. სავაჭ. საწ. „ პარტნიორი“ — საწყისი ფასი **26** საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი. 2. ს/ს „ოპიზარი“ — საწყისი ფასი **329** საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი. 3. ს/ს „ოზურგეთის №2 ჩაის ფაბრიკა“ — საწყისი ფასი **6978** საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი.

აუქციონზე გაიყიდა შემოთ აღნიშნული **3** ს/ს აქციათა პაკეტები. ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია **657** ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „ჭეთ.უნივ.სახით.სავაჭ. საწ.“ პარტნიორი“ — **26** საპრივატიზაციო ბარათი; 2. ს/ს „ორიზარი“ **33** საპრივატიზაციო ბარათი; 3. ს/ს „ოზურგეთის №2 ჩაის ფაბრიკა“ — **598** საპრივატიზაციო ბარათი.

სულ აუქციონის შედეგების თანახმად საგადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს **633**8 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

რესპუბლიკური ცენტრი

მსოფლიო

დიდი ბრიტანეთი

ინგლისი კვლავ «ეშრჩება» ევროპას

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ბრიტანული ხორცის ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით დაწყებული დაპირისპირება დიდ ბრიტანეთსა და მის ევროპელ პარტნიორებს შორის? როგორც ევროპის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟაკ სანტერმა განაცხადა, საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას, ვინაიდან ბრიტანეთის მხრიდან აგრესიის საპასუხოდ (ბოიკოტი ევროკავშირის მიმართ), მათ ზურგი აქციეს ევროპელმა პარტნიორებმა და ვიდრე ბრიტანეთი არ მოეგება გონს, რამე დადებითი გადაწყვეტილების მიღება და პროგრესის მიღწევა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისია გარკვეულ დათმობებზე წავიდა და გასულ კვირას მოახსნა ბრიტანული ხორცის ექსპორტზე აკრძალვათა ნაწილი, ჯონ მეიჯორი ჯიუტად აგრძელებს საპროტესტო კამპანიას.

ბრიტანული ხორცის ექსპორტის საკითხი, ბუნებრივია, რჩება ევროკომისიის სამუშაო დღის წესრიგში და მას კვლავ დიდი უურადღება დაეთმობა ახლო მომავალში ევროკავშირის სხდომაზე, სადაც ამავე დროს, ევროკავშირის მერმისსა და მის ამჟამინდელ პრობლემებზე იქნება საუბარი.

ირლანდიის რესპუბლიკური არმია და «შინ ფეინი» შეტევაზე გადადიან...



ჯორჯ მიტჩელი

